

საბანკო საქმის საფუძვლები I, II კურსი(ბიზნეს-ინჟინერინგი) I, II სემესტრი, 2017-2018 წელი -გიორგი ცაავა (დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?

აირჩიეთ ერთი:

- a. ქ. იერუსალიმში 1409 წელს;
- b. ქ. გენუაში 1407 წელს;
- c. ქ. პალერმოში 1408 წელს;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 2

სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. საერთაშორისო საბანკო გარანტიები;
- b. ბანკების სასესხო აქტივები;
- c. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- d. ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.

კითხვა 3

საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- b. ბანკის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- c. დამფუძნებელთა კრების ოქმი;
- d. ბანკის ნოტარიულად დამოწმებული საკრედიტო ხელშეკრულება;

კითხვა 4

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

აირჩიეთ ერთი:

- a. $1 / (d+c)$;
- b. $(1+c) / (d+c)$;
- c. $1 - (d+e) / (d+e+c)$;

d. $(1-d)/(d+c)$.

კითხვა 5

კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ოვერდრაფტი;
- b. კონტოკორენტული კრედიტი;
- c. საბლანკო კრედიტი;
- d. ლომბარდული კრედიტი.

კითხვა 6

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;
- b. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- c. პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- d. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.

კითხვა 7

ფაქტორინგის დროს:

აირჩიეთ ერთი:

- a. 3-4 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 80%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 20%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- b. 4-5 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- c. 1-2 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 70%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 30%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- d. 2-3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ.

კითხვა 8

თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 800 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

აირჩიეთ ერთი:

- a. 90 მლნ ლარს;

- b. 120 მლნ ლარს;
- c. 140 მლნ ლარს;
- d. 180 მლნ ლარს.

კითხვა 9

უნაღლო ანგარიშსწორების პრინციპებია:

აირჩიეთ ერთი:

- a. გადახდის ვადიანობის და გადახდის უზრუნველყოფის პრინციპები;
- b. საგადახდო ბრუნვის პრინციპები;
- c. ვადაგადაცილების პრინციპი;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 10

ბანკებს არ შეუძლიათ გახსნან შემდეგი სახის აკრედიტივები:

აირჩიეთ ერთი:

- a. დაფარული და არადაფარული;
- b. გამოთხოვითი და გამოუთხოვარი;
- c. ფასის მომტანი და ზარალიანი;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 11

ისეთ შემთხვევაში, როდესაც სესხის ძირითადი თანხის ნაშთის გადაუხდელი ნაწილი გირაოს ან იპოთეკის საბაზრო ღირებულების ტოლია, კლასიფიკაცია შეიძლება იყოს:

აირჩიეთ ერთი:

- a. „არასტანდარტული“;
- b. „საექვო“;
- c. „უიმედო“;
- d. „სტანდარტული“.

კითხვა 12

პირველადი კაპიტალის დაქვითვა არ შედგება შემდეგი კომპონენტისაგან:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბანკის საწესდებო კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გადატანილი თანხა;
- b. არამატერიალური აქტივები;
- c. ჩვეულებრივი აქციები გამოსყიდულის გამოკლებით;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

კითხვა 13

ლიკვიდურობის პირველად რეზერვს არ მიეკუთვნება:

აირჩიეთ ერთი:

- a. სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე სახსრები;
- b. ნაღდი ფული სალაროში და სეიფში;
- c. სამთავრობო ფასიანი ქაღალდები;
- d. საგადასახადო საბუთები ინკასირების პროცესში.

კითხვა 14

ბანკის ფინანსურმა მენეჯმენტმა თავისი საქმიანობის პროცესში საკმაოდ ურთიერთსაპირისპირო ისეთი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რომელთაც საბანკო ლიკვიდურობის მართვის ფუნქციებს უწოდებენ, როგორცაა:

აირჩიეთ ერთი:

- a. დეპოზიტების მიღებასთან დაკავშირებით მეანაბრეების სურვილის დაუკმაყოფილებლობა;
- b. ბანკის ფინანსურ ბაზარზე საიმედოობის შეუნარჩუნებლობა;
- c. შემოსავლიანობის გაზრდის მინიმუზაცია აქტივების მოგების მიუღებლად გაყიდვის ხარჯზე;
- d. ბაზარზე მოზიდული რესურსების ღირებულების შეზღუდვა.

კითხვა 15

ლიკვიდატორს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტები მომსახურების შესახებ, რომლის განხორციელებაშიც ბანკი მონაწილეობდა:

აირჩიეთ ერთი:

- a. დანიშვნის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში;
- b. დანიშვნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში;
- c. დანიშვნის დღიდან ერთი წლის განმავლობაში;
- d. დანიშვნის დღიდან სამი თვის განმავლობაში.

კითხვა 16

ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკის საქმიანობის საგნის შეცვლა და გარდაქმნა არასაბანკო საქმიანობის საზოგადოებად შესაძლებელია:

აირჩიეთ ერთი:

- a. ნებისმიერ დროს;
- b. გამონაკლის შემთხვევებში ეროვნული ბანკის თანხმობის გარეშე;
- c. მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევაში;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.